აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

18 იანვარი, 2006 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ შარმანაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: არჩილ მიქელაძე, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, ასლან ჩავლეიშვილი.
სხდომას არ ესწრებოდა გია გარსევანიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი მუხრან კაკაბაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგი და კომისიის წევრთა აზრის გათვალისწინებით, დღის წესრიგი წარდგენილი სახით დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი;

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. დადგენილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. თ. შარმანაშვილი)

2. სხვადასხვა;

1. დადგენილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ. მან აღნიშნა, რომ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 28-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უსკოს საშტატო განრიგს დადგენილებით ამტკიცებს უსკო და კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:	მომხრე	6;
	წინააღმდეგი	0;

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი;

დაადგინეს:	დაევალოს იურიდიულ სამსახურს მოამზადოს კომისიის დადგენილება უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა

მოისმინეს:	სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ შარმანაშვილი. მან აღნიშნა, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იგეგმება რეორგანიზაცია კონკურსის გამოცხადების შემდეგ. დამტკიცებული საშტატო განრიგის თანახმად, დაემატება დამხმარე მოსამსახურის, კომპიუტერის ოპერატორის ერთი საშტატო ერთეული.

კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელმა თ. შარმანაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	თ. შარმანაშვილი
კომისიის მდივანი	ა. მიქელაძე